საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/54

ქ.თბილისი

"16" ოქტომბერი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ვახტანგ აბაშიძისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ევროპის კავშირის დახმარების ფარგლებში დამტკიცებული დამეგობრების პროექტის - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდაჭერა ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწასა და ინსტიტუციონალურ გაძლიერებაში" (GE/15/ENI/TE/01/16 (GE/27)) განხორციელების მიზნით:

1. მიენიჭოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") წევრს, ვახტანგ აბაშიძეს, როგორც ზემოაღნიშნული პროექტის ლიდერს, უფლებამოსილება კომისიის სახელით, პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, მართოს აღნიშნული პროექტი და მიიღოს პროექტთან დაკავშირებული შესაბამისი გადაწყვეტილებები, ხელი მოაწეროს და პარაფირება გაუკეთოს პროექტთან ასოცირებულ დოკუმენტაციას;
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.; N6) ერთი თვის ვადაში;
3. აღნიშნული ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრრაციას (ნ. ჯანელიძე)

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური